

შობა-ახალ წელს გილოცავთ! ისარებით, გამრავლდით, მრავალშემიერ!

„მე შენ მიყვარდი, შენ შენგავდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შევექლო“...

ნიკოლაჟის გზით



არქონულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 12 (301) 29 დეკემბერი ოთხშაბათი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

ღმერთი დღედაღამეა და მდებარეობს, რათა ზეცად ააყვანოს ადამიანი, აყვანას რწმენა და სიყვარულით თუ გააართვინებს და გადაარჩინოს, ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი! აარიდა შენი, მბრობა, გაუბანლობა, თორემ ამდენ მბრობაში, დალაბში საქართველო დამთავრდება- იმპერიების გადაშენებულან

რასც მტრობას დაუწყებოდა, სიყვარული უშენებია



ახალ წელს გილოცავს პატარა დავით ლაქიშვილი

მწავალ ხსნა წელს მამულ კვლავს გივცენი ფრთხილად, ბედის ხიფიში გათენდეს მუნი ყოველი დღისა.

„25 დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“
დაე, იშვას იგი თითოეული ქართველის გულში, რათა ვიხილო დვითიური გზით და გადავხსნინოთ ხსენებულ



სანამდე ორად გაყოფილი საქართველო?
30 წლიანმა ფსევდოდემოკრატიაში ბევრი უბედურება დაგვატყუა თავს, ღამის ნახევარი საქართველო საზღვარგარეთ ხვდება ახალ წელს, რათა გადაარჩინოს აქ დარჩენილები



ვიგვილობა შავის ქარავში, „ნახვის უკანასკნელი გაელვება“

დავანსრულეთ 21 საუკუნის ყვარყვარისი, დამნაშავე რეჟიმთან შერიგება ფსევდოდემოკრატიისა და დიქტატორის აღორძინებაზე მიგვიყვანოს, ფრთხილად საქართველო, შენ ეს გზა უკვე გაიარა!



მე-3 გვ


2021 წელს ათასობით ქართველის სისოფსლე შეინიერა პანდემიამ, სანთლები დაუხეთოთ მათ ხსოვნას.. ღმერთს ეგარებოდნენ

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალუბრისა და ანგარიშვალდებულების კუთხით 2021 წელს საუკეთესო შედეგის მქონე მუნიციპალიტეტად ფოთის მუნიციპალიტეტი დასახელდა



მე-4 გვ

ვინც ისტორიას მიწასთან ერთად გვართმევს...
ალექსანდრე პოტიომკინი



მე-5 გვ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის მხარდაჭერით კულტურის განვითარების სტრატეგიის შეიმუშავებს



მე- 4 გვ

ქალაქ ფოთში ქუჩების სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მასაზე ეზავის სამუშაოები მიმდინარეობს



მე- 3 გვ

მიღობვა იროდი ტიპარაკეს 80



მე-4 გვ

შობა-ახალ წელს გვილოცავენ

ახალგაზრდაბო, ჩიბაჩაით ქალაქის მომავალი, ფოთს სჭირდება ისეთი თვითმმართველობა, რომელიც ნიკო ნიკოლაის დროს იყო. ფოთს ალუღინეთი ქალაქს საზღვაო კარიბჭისა და ისტორიული ფაზისის დიდაა



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გეგმა ვაჭარაძე

ძვირფასო ფოთელებო

თვითმმართველობის არჩევნებში თქვენმა დიდმა მხარდაჭერამ საშუალება მომცა მერის რანგში მოვილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი. ახალ წელს იმედით და სასიკეთო ცვლილებების მოლოდინით ვხვდებით.

მინდა, პირველ რიგში კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ნდობა გამოვიცხადა და ჩვენი იმედი აქვს, მე თავისუფლების მოყვარე ახალ-

გაზრდების, მშრომელი და განათლებული ფოთელების დიდი იმედი მაქვს, რადგანაც ჩემი გულწრფელი სურვილია ამ ქალაქის ისტორია ერთად დაეწეროს და ერთად გავხადოთ ბევრად უკეთესი, რამეთუ, ფოთს, როგორც სანავსადგურო ქალაქს, დიდხანს მისია აკისრია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ქალაქის ინფრასტრუქტურის გაფართოება-სრულყოფაში.

ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ ის მომავალი, რომელშიც გვიხდა, რომ ჩვენმა შეილება იცხოვროს.

დარწმუნებული ვარ 2022 წელი იქნება ფოთისთვის განვითარების, წარმატების და წინსვლის წელი. ჩვენ ამას, რა თქმა უნდა ერთად შევძლებთ.

ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სურვილების ახდენას, სიკეთეს ახალ გამარჯვებებს გისურვებთ ყველას.

მრავალ ახალ წელს დაეხარით!

საახალწლო მილოცვა ქალაქის საკაბიო მოძალაქეებისათვის

დიდ დღესასწაულებს შობა-ახალ წელს გილოცავთ ძვირფასო ფოთელებო. დვითის რწმენა და მადლი არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს, მხნეობას, ბედნიერებას, გამძლეობას, რაც მთავარია ჯანმრთელობას გისურვებთ. ახალი წელი ყოველთვის უკავშირდება ახალ იმედებს, სურვილებს, ოცნებებს ასრულებას. გვაიმედებს რომ ქალაქის მომავალი განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშია. გეჯერა პოლიტიკური კუთვნილებების მიუხედავად ერთად იბრუნებენ ფოთის კეთილდღეობისათვის, რამეთუ ქალაქი ერთი თავისი სიხარულითა და სატკივარით, დაე გაერთიანებდეთ დვითის რწმენა და სიყვარული, რათა ახდეს დიდი ნიკოლაის ოცნება-ფოთს დიდი სევდა მომავალი წლის.



გასული წელი წინააღმდეგობებითიყო აღსავსე, თუმცა დაუძლეველი არაფერია, თუ ვერ მოინდობებს, რათა შევინარჩუნოთ მიღწეული, განვაძლიეროთ მშვიდობა და ვიაროთ წინ.

საკაბიო ფოთელთა (მოძალაქეთა) ასოციაციის თავმჯდომარე გოგი გულაშაძე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყეშელაშვილი

ჩემო თანაქალაქელებო

მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი და თითოეულ მოქალაქეს ვუსურვო წარმატებული 2022 წელი. როგორც ცნობილია 2021 წლის 30 ოქტომბერს გამართული თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მე ამირჩიეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ. ამისთვის მადლობას ვიხდით თქვენ ჩემო ფოთელებო.

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობა ვემსახურო თითოეული ჩემი თანაქალაქის საუკეთესო ინტერესებს. მართალია წინა წლები გამოწვევებით იყო აღსავსე, თუმცა მომავალი ჩვენს ხელშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ის უკეთესობისკენ შევცვალოთ.

ჩვენი დაპირებისამებრ, ჩემი და ჩემი გუნდის მთავარი ამოცანა იქნება ამ ქალაქს შევძინოთ სტრატეგიული მნიშვნელობა და გარდავქმნათ ერთ-ერთ წარმატებულ ცენტრად ჩვენს ქვეყანაში. ფოთი უნდა დაუბრუნდეს განვითარების იმ მოდელს, რომელსაც ეს ქალაქი მისი დაფუძნების დღიდან დააფუძნა. ქალაქი ფოთი ხომ ოდითგანვე დასავლური ღირებულებების მატარებელი ქალაქია, რომელიც, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით, უმნიშვნელოვანესი ფუნქციით იყო დატვირთული. შესაბამისად, ჩემი და ჩემი გუნდის მიზანია ქალაქის სწრაფი განვითარება იქნება, რომლისკენაც სვლა შეუქცევადად უნდა წარიმართოს.

ჩემთვის ასევე კარგად არის ცნობილი სხვადასხვა მიმართულებით არსებული ადგილობრივი პრობლემები, რომლებსაც ყვეტურად გადავჭრით თუკი ერთად დაეგვებით ამ გამოწვევების პირისპირ. მე მჯერა რომ ქალაქ ფოთის მოქალაქეებისთვის ჩვენს მიერ დაპირებული ყველა მნიშვნელოვანი პროექტი პოზიტიურად გადაიჭრება და ლოგიკურ დასასრულამდე მივა. ქალაქისთვის ყველა საჭირო პროექტის განხორციელებისთვის, ფოთის საკრებულო, მაკორიტარ ირაკლი ხახუბიასა და ქალაქის მერთან ბექა ვაჭარაძესთან ერთად, აქტიურ კომუნიკაციაში დარჩება პარტია „ქართულ ოცნებასა“ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან. როგორც არა ერთხელ მითქვამს, დრმად ვარ იმაშიც დარწმუნებული რომ ფოთელების აქტიური ჩართულობის შედეგად ფოთის განვითარებას ველოდებით შეაფერხებს და ის ქვეყნის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩემ ქალაქს დამდეგი შობა-ახალ წელს! დღეს შექმნილი ვითარებაში, პირველ რიგში, მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა, ეკონომიკური კეთილდღეობა და, დაე, საუკეთესო 2022 წელი გვექონოდეს ჩვენი და ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ.

ღმერთმა დალოცოს და დაიფაროს საქართველო, ქალაქი ფოთი და მისი თითოეული მოქალაქე!



ირა ფაცია ზირმა „გზამშენი-2013“ მენეჯერი



მიუხედავად ქვეყანაში არსებული დაპირისპირებისა, იმედებით ვხვდებით ახალ წელს, რომ იგი იქნება ახალი საქმეების დასაწყისი, ადამიანებს ექნებათ ნორმალური ცხოვრების პირობები, სამუშაო, რათა აღასრულონ თავიანთი მოვალეობა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე. ნუ დაგვაკვიფრდება, რომ ადამიანები უკვდავები არა ვართ, რომ ერთმანეთის დანდობის, სიყვარულის გარეშე აზრი არა აქვს ცხოვრებას, ამიტომ გვაკლია ბევრი რამ, იმედია, დვითისმშობლის წილხვედრი ქვეყანა დვითურ გზას დაადგება და სიყვარულით გაგვაერთიანებს, ღმერთმა დაგლოცოთ, მრავალ ახალ წელს სიხარულით შეხვედროდეთ!

ზირმა „კავტრემსფოთის“ გენ. დირექტორი რობერტ გვაჭავაძე



ახალი წელი ყოველთვის არის ერთგვარი ნიშანსვეტი ფიქრისა და განსჯისათვის. მიუხედავად პანდემიისა სირთულეებისა თანდათან იკვეთება ახალი კონტურები. ფოთი როგორც საპორტო ქალაქი კვლავ დაიკავებს ახალ აბრეშუმის გზაზე. ახალი იმედები ჩნდება ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქართველო ახალ, გლობალურ პროექტში ერგება ევრო-საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა.

მთავარია გვექონდეს სვალინდელი დღის რწმენა, გვიყვარდეს ერთმანეთი, დავცხმართ ერთმანეთს. ყველაზე დიდი კაპიტალი ხომ ადამიანთა შორის ურთიერთობაა. ძვირფასო თანაქალაქელები ამ იმედით გილოცავთ დამდეგი შობა-ახალ წელს. დაე, გაგაძლიეროთ დვითის რწმენამ და სიყვარულმა.

ჯუმბერ ცომაია შპს „ბნკ“-ის გენერალური დირექტორი

მოდის ახალი წელი და მას ახალი სურვილებით, იმედებით და მოლოდინით ვხვდებით, იმედია 2022 წელს კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამო ქვეყნის წინსვლა-განვითარების და დაპირებული პოლიტიკური ძალების შერიგების საქმეში, ცხოვრება ნელა, მაგრამ იცვლება უკეთესობისკენ, მთავარია, ყველას ერთი მიზანი-სამშობლოს წინსვლა, ქრისტიანული რწმენა გვაერთიანებს.



ახალი წლის და ქრისტეშობის დღესასწაული განუყოფელია, დვითურობის საწყისთან მივდივართ და ძალიან მინდა ქრისტე იშვას თითოეულ ჩვენგანის გულში. საქართველო რწმენამ მოიყვანა აქამდე და მას გაფრთხილება სჭირდება, „ენა, მამული, სარწმუნოება“ ჩვენი უკვდავი საუნჯეა, უნდა შევინარჩუნოთ იგი. თუ გვინდა დავრჩეთ ქართველებად. დაე, ყველა ოჯახისათვის სიხარული და ბედნიერება მოეტანოს ამ წელს, იხარეთ მრავალჯამიერ!

მილოცვა შოთა მიქიაშვილი ისტორიული ფაზისის მაცხოვრებელბო, ძვირფასო ფოთელებო



გულითადად გილოცავთ ახალი წლის დადგომას. უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს შობას უფლისა ჩვენისა. დაე, რწმენა და სიყვარული აერთიანებდეს ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვე-

ყანას. მჯერა 2022 წელი იქნება ახალი წარმატებების მომტანი საპორტო ქალაქის ცხოვრებაში, რომელსაც უდიდესი სატრანზიტო ფუნქცია აქვს. ფოთელები ურთიერთ თანადგომით ყველაფერს გააკეთებენ

მისი წინსვლისათვის. დაე თითოეული თქვენგანის ოჯახისათვის სიხარული, ბედნიერების და წარმატების მომტანი ყოფილიყოს ეს ახალი წელი.

დავანსრულეთ 21 საუკუნის ყვარყვარაობა, დანაშაუნი რაიმითა და შერიგება, ფსევდო დემოკრატიისა და დიქტატორის ალორკინებაზე მიგვიყვანს, ფრთხილად საქართველო, შენ ეს გზა უკვე გაიარა!



ეროვნული შერიგება ძალადობრივი რეჟიმის დასაბრუნებლად? საით მიდის ქვეყანა წინ თუ უკან? 30 წლიანმა ფსევდოდემოკრატია მკვეთრი თავსატეხი გაუჩინა ქართველ ხალხს. დაშვებული შეცდომების შედეგებს რევოლუციით მოსული ხელისუფლების გაყალბებული არჩევნების თუ ტყუილი დაპირებების გამო დღეს ვიმკით. ფსევდოდემოკრატიის ყველაზე მწარე შედეგია დამანაშაუნი რეჟიმი, არაფორმალური მმართველობა და ევროპის თხოვნით ოცნების კოპაბიტაცია ამ რეჟიმის ნარჩენებთან. რომელიც ისევ გამოჰყავთ ასპარეზზე. ამის დასტურია სააკაშვილის ჩამოსვლა და ციხიდან პოლიტიკური პროცესების მართვა. შიმშილობით, ტრაქტატებით და მანიფესტაციებით. მისი ვითომ შიმშილობა უნდა მასობრივ შიმშილობაში გადაზარდოს, თითქოს ინდირა-განდია ან ნელსონ მანდელა.

თითქოს სააკაშვილის პარტიების კინკლაობის გარდა სხვა გასაჭირი არ იყოს ქვეყანაში, ციხეში მნახველებს ვერ აუღის, თავს ახვევია მთელი სამედიცინო პერსონალი. აქამდე ხომ უქმნიდა ქვეყანას პრობლემებს, ახლა ჯანმრთელობის მანიპულირებით, დგამს სპექტაკლებს. ციხიდან გვიგზავნის წერილებს, საქართველოს ისტორიულ მისიაზე, უნებურად გახსენდებათ ალბათ, ზვიად გამსახურდიას სულიერი მისია, სამშობლოს სიყვარულით და ქრისტიანობით გაჯერებული წერილი, რომლის ერთგული დარჩა სიკვდილის კარამდე. ეროვნული „გმირის“ სააკაშვილის განთავისუფლების გზას, დასავლეთი ნაციონლების კოპაბიტაციაში ხედავს. არადა ეს გზა უკვე გავიარეთ. კოპაბიტაცია ნიშნავს ერთობლივ ზრუნვას ქვეყნის საკეთილდღეოდ. გასაჭირში მყოფი ერი, რომელიც ისედაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ამ პოლიტიკურ მონაცვლებას ეწირება. ე.წ. ეროვნული შერიგება სახელმწიფო დამანაშაუნი, ყოფილი მესამე პრეზიდენტის განსათავისუფლებად სამართლებრივი სახელმწიფოს დანგრევას ნიშნავს. ამას ემხრობა ყოფილი პრეზიდენტი მარგველაშვილი. გავაუქმეთ მაშინ დამანაშაუნი ცნება, კოდექსები, კანონები, გაუშვათ ყველა პარტიმართი სიდუხჭირის გამო, უმნიშვნელო დანაშაულებებისათვის დაკავებები, ან რის ფასად უნდა მოხდეს ეს შეწყველება - შერიგება,

რას ვეუბნებით იმ ადამიანთა ოჯახებს, რომელიც ამ რეჟიმმა შეურაცყო და გაანადგურა ფიზიკურად და მორალურად. თუ სააკაშვილი დანაშაულს პატიმარია, დამანაშაუნი რა დავარქვით? პარადოქსია ისიც, რომ სააკაშვილი დამოუკიდებელ სასამართლოს ითხოვს და თავისივე ფავორიტი მოსამართლეების ემშინა. სამწუხაროდ, ხელისუფლებები ერთმანეთს ემგვანება. მართლაც არ არის დამოუკიდებელი სასამართლო და პროკურატურა. საავალადო ეკონომიკური შედეგები ნიჰილიზმს, უიმედობას, უპერსპექტივობას უნერგავს ადამიანებს. ამ დროს პოლიტიკური ძალები შერიგებაზე გადართული სახელისუფლებო პოტენციალი თავისი პრეზიდენტიანად, არაფერს ფიქრობს ხალხთან შერიგებაზე, ჩატეხილი ხიდის გამთლიანებაზე. რა რესურსები იხარჯება იმისათვის, რომ ადამიანებს სძულთ ერთმანეთი. დაავიწყდათ რომ ერთ ქვეყანაში ცხოვრობენ. სამწუხაროდ, ყველას მეფობა უნდა, ყველა ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვის. ევროპას და ევროატლანტიკურ ალიანსს ამოფარებული „ნაცები“ ქვეყანას თუმცა, ბევრი რამით დავცილდით ევროპას. ესაა სოციალური ვითარება, გაძვირებული ცხოვრება, უმუშევრობით და უხელფასობით, რაც ნამდვილად არაა ევროპული. ქვეყანა საცდელ პოლიტიკურ იქცა. არ უნდა იყოს ასე იოლი ხელისუფლებაში მოსვლა.

არც პარტიები არ უნდა იქმნებოდეს, 3 და 4 თვეში. ხელისუფლების სადავეები უნდა გადანაწილდეს სახელისუფლებო შტოებში. რათა ისევ არ მივიდეთ ცალკე ხალხი და ცალკე პოლიტიკა. დემოკრატიის გაკვეთილები საკმარისად გვაქვს, დასკვნები არ გამოგვაქვს და ისევ ნეოფაშისტური ძალები მოგვეყავს. საპარლამენტო რესპუბლიკაში ვერ მივალწივთ ღირსეული პროფესიონალების, სახელმწიფო კაცების თავმოყრას და იგი ბიზნეს კლუბს უფრო ჰგავს. კანონშემოქმედებითი საქმიანობა მეორე პლანზეა. პარტიულ კინკლაობას გადააყოფეს ქვეყანა. თუ ისევ შევალ წარსულის ლაბირინთებში, იქიდან გამოსვლა ძნელი იქნება. როგორც ქვეყანა ისე ხელისუფლება თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს. რუსეთსაც და ევროპასაც თავისი გზა აქვს, საქართველოს თავისი, სანამ უნდა ვეძახოთ ერთმანეთს აგენტები, პუტინის პატიმარი ვართ, რომ გაიძახოს სააკაშვილი. ლამის ნახევარი საქართველო ნააბარა სტრატეგიული ობიექტები მიყიდა, სადაა აქ ლოგია. როცა სხვას ეძახის რუსეთის აგენტი საქართველოს პოლიტიკურ არენაზე, გამომჩნდება ახალი ძალა, ახალი იდეები ეროვნული სულისკვეთებით, ეროვნული ტრადიციებითა და ხასიათით. რომლისთვისაც მთავარი პოსტულატი იქნება ენა, მამული, სარწმუნოება.

ზ. აბრალავა

საქართველი

ქ. ფოთის მერს ბატონ ბაქა ნაჭარაძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ალექსანდრე ბუაჩიშვილს, სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორს ქალბატონ მირანდა ზარანდიას, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებაში და ქალაქის აღმშენებლობის საქმეში. განსაკუთრებით გამორჩეული წელი შემოდის, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებისათვის მათი ამაგის დაფასება და წახალისება სტიმულის მომცემია. საპასუხისმგებლო საქმეს ვემსახურებით ქვეყანაში არსებული საშიში, ვერაგი პანდემიის გამო, გვაქვს შეფერხება, მაგრამ ყოველმხრივ ჩართული ვართ სასწავლო პროცესში. იმედია 2022 წელი პანდემიაზე გამარჯვების ბოლომდე იქნება რათა წარმატებით გავაგრძელოთ მუშაობა. გილოცავთ ახალ წელს. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას დაფასებისათვის. მმ-7გაგა-გაგის თანამშრომლები.

საქართველი რობერტ გვაზავს

ფირმა „კავტრექსფოთის“ გენერალურ დირექტორს რობერტ გვაზავს, საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა) ასოციაცია მადლობას უხდის თანადგომისათვის, განსაკუთრებული ყურადღებისა და საქველმოქმედო საქმიანობისათვის. გულოცავთ შობა-ახალ წელს, დაე, დიდხანს იყოს ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ფოთის ხიდისა და მისასვლელი გზების მშენებლობას იწყებს



ფოთში, მდინარე რიონზე დაგეგმილი ფოლად-რკინა-ბეტონის 8 მალიანი საავტომობილო ხიდის სიგრძე 436 მეტრს, ხოლო მისასვლელი გზების სიგრძე, ჯამში, 2 კმ-ს შეადგენს მშენებლობის ღირებულება შეადგენს 60.8 მილიონ ლარს და ახიის განვითარების ბანკის (ADB) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება. სამშენებლო სამუშაოებს საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ერთობლივი საწარმო MIRBUD-CS“ შეასრულებს. სამუშაოების დასრულების ვადა 2 წელია ფოთის ამჟამად არსებული გზა

გადის პიდროკვანძზე, რომლის ტექნიკური პარამეტრები ვერ აკმაყოფილებს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ და უსაფრთხო გადაადგილებას. ახალი ფოლად-რკინა-ბეტონის 8 მალიანი ხიდის მშენებლობა მოაგვარებს არსებულ პრობლემებს და ფოთის მიმართულებით, მაღალი ინტენსივობის საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე, უსაფრთხო საავტომობილო მგზავრობას და შეუფერხებელ სატრანსპორტო მიმოსვლას უზრუნველყოფს ფოთის ხიდი 60-70 ჩქაროსნული ავტომობილის სიჩქარის შემადგენელი ნაწილია. ჩქაროსნული ავტომობილტრალი უმოკლესი დამაკავშირებელი გზაა ევროპისა და ახიის ქვეყნებს შორის. მაგისტრალის მდებარეობის გათვალისწინებით, იგი გახდება ძირითადი სატრანსპორტო რგოლი შავ ზღვას, კასპიის ზღვას და ცენტრალურ აზიას შორის


ამ იხეილზე რენი გავითი აბარა სანარმო გამარჯვების ოცნება სტამბა „ირილა“, ანუ ცისარტყელას ქალღმერთი



ძნელი იყო პოლიგრაფიული სტამბა „ირიდას“ პირველი ნაბიჯები, რომლის დამფუძნებელია რომან თავართქილაძე, და გიორგი ნოდია, ხოლო გენდირექტორი დავით თავართქილაძე. ყველაფერი დაიწყო 1991 წლიდან. მათი ერთადერთი და პირველი საბუკდი მანქანა იყო „რომაიერი“, მაგრამ საოცარი ოპტიმიზმის წყალობით, უშრეტო ენერჯითა და შეუპოვრობით შექმნეს ფოთში თანამედროვე ტიპოგრაფიული სტამბა. დღეს ის აღჭურვილია უახლესი მანქანა - დანადგარებით, როგორცაა საქაოლ ცნობილი ბუნდები „კვიდელები“, „რობი“, „როლანდი“, „პორიზონი“, „ფუფი“, „აგა“, ფერადი ქსეროქსი და ა. შ. წარმოდგენილი იყო, რომ სულ მოკლე პერიოდში სტამბა „ირიდა“ შეძლებდა ფერადი კურნალების, წიგნების, ბუკლეტების, ბროშურების, კალენდრების, სტიკერების, ეტიკეტების, ბლანკების, კონვერტების, საქაოლდელების, სახანუქრე ატრიბუტიკის (მაისურებს, კეტებს, სანთებლებს, კალმებს, ქოლგებს) დაბეჭდვას აქ ხელეწიფებოთ აგრეთვე ლამინირება, ტრაფორეტული ბეჭდვა (შოლკოგრაფია), თერმოტრანსფერი, თერ-

მოგრაფია (ფოტო გამოსახულებების გადატანა ქსოვილზე და ჭიქაზე). ასე რომ, ეს თანამედროვე სტამბაა, მუდამ მზადაა თქვენი ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფისათვის. აქ იღვწიან ისეთი პოლიგრაფისტები, რომლებიც ტოლს არ უდებენ ქვეყანაში გამომჩენილ პოლიგრაფისტებს. საოცარი ტანდემი ჩამოყალიბდა კარგი პროფესიონალების რომან და დავით თავართქილაძეების სახით. მათ გვერდით არიან ახალგაზრდები, რომლებიც მხარში უდგანან საწარმოს ხელმძღვანელებს, რომლებიც გამოიჩინეს შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით. ესენი არიან ფინანსური მენეჯერი დარეჯან ჩაჩავა, პოლიგრაფისტი ემზარ კილასონია, აქვე მუშაობენ ახალგაზრდა სპეციალისტები, ოპერატორ - დიზაინერი მაკა ბერძენიშვილი, თამუნა ტყევეშვილი; ირინა ჯაში, და ხვიჩა ბერძენი. როცა აქ გაზეთი იბეჭდება ყველა მათგანისგან საოცარ ყურადღებას ვგვრძობთ, მიუხედავად იმისა გვაქვს თუ არა შესება მათთან. განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვუთქვათ რომან თავართქილაძის მისამართით, იმ ყურადღებისა და ლოიალობისათვის, რასაც ჩვენი დარიბი გაზეთის მიმართ იჩენს. იგი არამხოლოდ კარგი ტიპოგრაფისტი და ხელმძღვანელია, არამედ კარგი მკითხველი და შემფასებელიცაა. ამიტომაც აქ წესრიგი, მონდობა და ურთიერთ პატივისცემაა. ეს მართლაც უღტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტამბაა, რომელსაც წინ ახალი წარმატებები ელის.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 7 იანვარს ფოთში საახალწლო-საშობაო ღონისძიება გაიმართება



ღონისძიების ფარგლებში მოეწეობა საშობაო ბაზრობები, გამოფენა-გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები. ტერიტორიაზე განთავსდება ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პატარებს თოვლის პაპა ტკბი-

ლეულსა და საჩუქრებს გადასცემს გაიმართება კონცერტები როგორც ადგილობრივი, ასევე, დედაქალაქიდან მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით.

ღონისძიებები დასრულდება საზეიმო ფოიერვერკით. ღონისძიებებზე დაცული იქნება კოვიდ რეგულაციები.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 24 დეკემბრიდან 8 იანვრის ჩათვლით, საახალწლო ღონისძიებები საქართველოს 63-ვე მუნიციპალიტეტში მოეწეობა.

7 იანვრის ღონისძიების განრიგი:

- 14:00 - 20:00-საახალწლო ქარავანი, საშობაო ბაზრობა;
14:00 - 18:30-თოვლის ბაბუა, ელფები, მოსიარულე მუსიკოსები;
14:00 - 17:30-ადგილობრივი შემსრულებლები;
17:30 - 18:30-თოვლის ბაბუასთან სურათები და საჩუქრები;
18:30 - 20:00-ჯგუფი „ბანის“ კონცერტი;
20:00-ფოიერვერკი.

ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, მოსახლეობისთვის საახალწლო საჩუქრი პროდუქტის გადანაწილდა



საკრებულოს წევრებმა ქალაქში მცხოვრებ სოციალური სტატუსის მქონე პირებს დამდეგი შობა-ახალი წელი პირადად მიულოცეს და სასაჩუქრე კალათები გადასცეს. სასაჩუქრე კალათა ჯამში 1000 ბენეფიციარს დაურიგდება.

მილოცვა აღფონზ მატეას 35 წელი ქალაქის კომუნალურ სამსახურში

აღფონზ მატეას კარგად იცნობს მთელი ქალაქი, როგორც კარგ პროფესიონალს, თავდაუზოგავ მშრომელს, რომ იტყვიან შეუცვლელ კაცს. ქარსა თუ ჭვიმაში თავისი ერთგული თანამშრომლებით ემსახურება სანტექნიკურ სამუშაოებს ქალაქის ყველა უბანში. 35წელი უცვლელად ხელმძღვანელობს ამ სამსახურს. ამჟამად ქალაქის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრის საბინაო განყოფილების გამგეა. ფოთის საპატო მოქალაქეს, ფოთის კოლონიის კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს და ხალხის სამსახურში ყოფნას უპსურვებთ. შობა-ახალწელს გილოცავთ ბატონო აღფონზ, გაჯემთ „ნიკოლაის გზით“ რედაქცია



მილოცვა იროდი ტიკარაძე - 80



ქალაქ ფოთის სალოტბარო სკოლის ხელმძღვანელს, ფოთის საპატო მოქალაქეს ხელოვნების ქურუმს, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს და ღირსების ორდენოსანს იროდი ტიკარაძეს 80 წელი შეუსრულდა.

იუბილარს აღნიშნული თარიღი ფოთის მერის მოადგილემ მამუკა პაპასკირმა მიულოცა და მუნიციპალიტეტის სახელით ჯილდო გადასცა.

მამუკა პაპასკირმა მადლობა გადაუხადა იროდი ტიკარაძეს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატება უსურვა.

ქალაქ ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მესამე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს

პროექტი ითვალისწინებს: საფეხმავლო და ველო ბილიკების მოწყობას; საინჟინრო (ჰიდროტექნიკური) ნაგებობის ადგიანობის რეაბილიტაციას; ტერიტორიის გამწვანება-კეთილმოწყობას; მისასვლელი გზების და სანიაღვრე არხების მოწყობას. კუნძულის სანაპირო ზოლზე მოწყობა დაღუპულ მეზღვაურთა მონუმენტი. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ფოთის მერი ბექა ვაჭარაძე პირველ მოადგილესთან, დავით კვიციანთან ერთად გაეცნო.



ბექა ვაჭარაძის განცხადებით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რომ პარალელურ რეჟიმში დაიწყო სანაპირო ზოლის ნაპირ-სამაგრი სამუშაოები და ზაფხულის სეზონს ქალაქი განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდება. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. ინფრასტრუქტურული განახლება და მოწყობისთვის სივრცეები ქალაქს მეტ სიცოცხლეს სძენს.

დასრულდა სამუშაოები და ზაფხუ-

ფოთის საქრებულო მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.



მუნიციპალური განვითარების და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდები.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის ყოველდღიურ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი სამსახურების გაძლიერება. მომავალი წლიდან მოხდება ყველა აუცილებელი ტექნიკის შექმნა-განაცხადის სიტყვით გამოსვლისას ფოთის მერმა.

23 მილიონი ლარით განსაზღვრული წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი საკრებულოს დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა.

2022 წლის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით 13 %-ით, 2 მილიონ 700 ათასი ლარით იზრდება.

„ეს არ არის საკმარისი ზრდა იმ გამოწვევებისთვის რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ, თუმცა ჩვენ ვიმუშავებთ წლის განმავლობაში ბიუჯეტის გაზრდის გეგმაზე, გარდა ამისა მნიშვნელოვანია იმ პროექტების დაფინანსება, რომელსაც ჩვენს ქალაქში ასორციელებს

ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით -5 მილიონ 233 ათასი ლარია განსაზღვრული, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის - 3 მილიონ 694 ლარია გამოყოფილი, რის საფუძველზეც იზრდება სოციალური პროგრამების და ქვეპროგრამების დაფინანსება. განათლების სფეროს მიმართულებით განსაზღვრულია -3 მილიონი ლარი, კულტურის სფეროს, ასევე ახალგაზრდობის და სპორტის პროგრამებისთვის გათვალისწინებულია -3 მილიონ 475 ათასი ლარი.

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით 2021 წელს საქართველოში შედგინდა მუნიციპალიტეტად ფოთის მუნიციპალიტეტი დასახელდა

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით ფოთის მუნიციპალიტეტი 36-ე ადგილს იკავებდა.



ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით მომზადებული მუნიციპალიტეტების 2021 წლის შეფასების შედეგების პრეზენტაცია და გამჭვირვალობის რეიტინგის პირველ ხუთეულში შემავალი მუნიციპალიტეტების დაჯილდოება გაიმართა, სადაც გამომსვლელებს სიტყვით მიმართა ფოთის მერმა.

ანგარიშვალდებულებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება, თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა, კორუფციის რისკების შემცირება და მუნიციპალიტეტებს შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარება.

ბექა ვაჭარაძემ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტების დანერგვის მიღწევებზე, გამომწვევებზე და საჭიროებებზე ისაუბრა.

პროექტი სორციელდება კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის (ნთჩ), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ, ფონდი დია საზოგადოება საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი მუნიციპალიტეტების ღიაობასა და ანგარიშვალდებულებას აფასებს. მისი მიზანია საქართველოში გამჭვირვალე და

მილოცვა ბატონი ბასილია-ფოთის საპატო მოქალაქე



გილოცავთ ძვირფასო ფოთელებო შობა-ახალი წლის დადგომას, ვისურვებთ მშვიდობას, ბედნიერებას. ამ რთულ დროში ისევ უფლის იმედად, უნდა ვიყო, დაე გვაერთიანებდეს დეოთის რწმენა, სიყვარული, ღირსება და ტრადიციები. ასევე ვისურვებთ გეგმავრობით გაერთიანებულ საქართველოში, ჩვენი ქალაქი აყვავებული გვექნას, როგორც ევროპა-აზიის დერეფანი. ისარგებლოთ, იდეგობდეთ, მრავალჯამიერ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის მხარდაჭერით კულტურის განვითარების სტრატეგიის შეიმუშავებს

ევროკავშირის პროექტ EU4Culture-ს კონკურსის ფარგლებში, ფოთის მერია, კულტურის განვითარების სტრატეგიების მოსამზადებლად 30,000 ევრომდე დაფინანსებას მიიღებს. დაჯილდოების ცერემონია დღეს, ქალაქ თბილისში გაიმართა.



ქალაქ ფოთის მერს ბექა ვაჭარაძეს საგრანტო სერტიფიკატი ევროკავშირის წარმომადგენლობის პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილემ კატალინ გერმანმა გადასცა. მერმა მადლობა გადაუხადა ევროკავშირს, რათა სხვა აპლიკანტებთან ერთად ამ ეტაპზე შერჩეულ იქნა ქალაქი ფოთი.

პროექტია, რომლის მთავარი ფოკუსი ადგილობრივი პარტნიორობის ქვეყნების რეგიონულ ქალაქებში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის მხარდაჭერაა. პროექტს ახორციელებენ გოეთეს ინსტიტუტი (წამყვანი პარტნიორი), დანიის კულტურის ინსტიტუტი, ჩეხეთის ცენტრები და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი.

EU4Culture ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი

ტრადიციული ჩიჩილაკი, თუ კომპიუტერი ნაძვის ხე



ჩიჩილაკი ტრადიციული საახალწლო „ნაძვის ხე“ საქართველოში. მოხუცის წვერივით დაშვებული ქათქათა ფოჩები. თავზე ჯვრით, რომელიც ვაშლით (სიბრძნის სიმბოლო) და სხვადასხვა დანამიხებული (გამძლეობის სიმბოლო) ხილით ირთვებოდა, თავად თხილის ხე, რისგანაც ჩიჩილაკს ამზადებენ სიმბოლოცისა და ბარაქის სიმბოლო იყო, ამიტომ ეგებებოდნენ ახალ წელს ჩიჩილაკით - ეს ნიშნავდა, რომ ის წელი ბარაქიანი, მტკიცე ოჯახებითა და ბრძენი თაობის მომცემი წელი იქნებოდა.


ცხოვრობდა კეთილი სული, რომელიც ყველა მცენარეს, მხეცსა და ფრინველს იცავდა (მართლაც დაუკვირდით: ნაძვის ფესვებთან ბუნავს იკეთებს ჩვენებური დათვი, კურდღელი, ხეზე სოროში ცხოვრობს ციყვი, ხოლო მის დაბურულ ტოტებს მრავალი ფრინველი აფარებს თავს). ამიტომ, ძველი გერმანელები ნაძვთან მიდიოდნენ და თავიანთს სცემდნენ. მისი ტოტები მიჰქონდათ და სახლში კედლებზე ჰკიდებდნენ. შემდეგ კი ახალ წელს მთელი ხის დაღვმა დაიწყეს. ნაძვის თავიანთსცემის წესი გადაიდევს პოლანდიელებმა, შემდეგ ინგლისელებმა, რომლებიც თავიანთს სცემდნენ არა როგორც სულის საბინადროს, არამედ, როგორც უტკნობი სიცოცხლის, მუდმივი ახალგაზრდობისა და ძლიერების სიმბოლოს. ნაძვის დაღვმის წესი საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს შემოვიდა რუსეთიდან, თუმცა ძველ ტრადიციასაც არ დალატობდნენ და ჩიჩილაკსაც დგამდნენ, ასეა დღესაც. ინტერესმოკლებული არ იქნება, ალბათ, ჩვენი მკითხველისათვის თუ როგორ ზეიმობენ ახალ წელს ის ქვეყნები, სადაც ნაძვი საერთოდ არ ხარობს, და საერთოდ ახალ წელს ზამთარში კი არა გაზაფხულზე ზეიმობენ. თუ დაუკვირდებით, ბუნება ახალ წელს სწორედ გაზაფხულზე ზეიმობს, რადგან გაზაფხულზე იწყება ახალი სიცოცხლე. ასეა ტროპიკულ ქვეყნებში. მაგალითად ვიეტნამში ნაძვის ხის მოვალეობას ასრულებს ატმის ტოტები, იაპონიაში - ერთად შეკრული ლერწმის, ფიჭვისა და ქლიავის ტოტები. რომლებიც გამძლეობის, ხანგრძლივი სიცოცხლისა და სწრაფი ზრდის სიმბოლოს წარმოადგენენ. ახლა ისევ საქართველოში დავბრუნდეთ! ჩვენთან უკვე ტრადიციად იქცა ვიტრაჟების საახალწლოდ გაფორმება, არა მარტო სახლებში, არამედ დაწესებულებებშიც ფეხი მოიკიდა მორთული ნაძვისხეების დაღვმამ. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იდგმება დიდი ნაძვის ხე.ეს შესანიშნავი ტრადიციია, მას ადამიანების ცხოვრებაში ხალისი და სიხარული შემოაქვს. ჩვენ რამდენიმე მოქალაქე გავაჩერეთ და შევეკითხეთ, რა აზრისანი იყვნენ- ჩიჩილაკი სჯობს თუ ნაძვის ხე?-აი, რას ფიქრობენ ჩვენი თანაქალაქელები: - მარინა ონიგავა: ჩვენ ის თაობა ვართ, ძველი ტრადიციები ფარდის მიღმა რომ დავტოვო. მუდამ ნაძვის ხეს ვერთავდით. ჩემს ბავშვობაში ნაძვის წვერი ჭერამდეც წვედებოდა. შემდეგ ხელლოვნური ნაძვის ხეები შემოიღეს, ისინი შედარებით დაბლები იყო 0,5-დან 1,5მ-მდე.ხელოვნურსაც აქვს თავისი გამართლება, სპეციალური სითხეც კი იყიდებოდა ნაძვის არომატით. მაგრამ ნაძვის ხე ხომ სიმბოლოა რაღაცის, რისთვისაც მას უპირატესობა მისცა ხალხმა. ამიტომ მე მგონი ცოცხალი ნაძვის ხის დაღვმა უფრო მიღებულა, რაც შეეხება ჩიჩილაკს უკვე რამდენი წელია ხალხი ტრადიციის

ნიშნად მასაც დგამს. - მზია დოღბაია: რატომ უნდა ნაძვისხე უფრო ღამაზია, მეტი ხალისიც შეაქვს ოჯახში. ბავშვების სიხარულსაც ხომ ნუ იკითხავთ. ნაძვის ხის მორთვა და მასთან ტრადიციული ბავშვისთვის დიდი სიამოვნებაა. ჩიჩილაკი უნდა შევინარჩუნოთ, როგორც პატივისცემა ტრადიციისადმი. მარტო ჩიჩილაკი? არამგონია ამას რაიმე ხიბლი ქონდეს. - ჯანიკო ნადარაია: რას ამბობთ ხალხო, ჩიჩილაკი რომ იდგმებოდა მაშინ ჩვენი მრე-7, მე-8 წინააპარი ცხოვრობდა. არც ეს ღამაზი სათამაშოები არსებობდა. განა შეიძლება მორთული ნაძვის ხის ჩიჩილაკთან შედარება? ძველი ტრადიციები ხომ ცივილიზაციის მუხრუჭებია. ისე მეფე და დედოფალი ბევრ ქვეყანაში ტრადიციის პატივსაცემად შეინარჩუნეს. მხოლოდ ტრადიციის და არ არიან ქვეყნის მმართველები. ასე, რომ შევინარჩუნოთ ჩიჩილაკი, ეს კი ნაძვის უარყოფას სულაც არ ნიშნავს.თუმცა მატერიალური მხარეც ბევრს ნიშნავს.

P.S. სწორედ მატერიალური მხარეა მთავარი, დღეს ნაძვის ხის სათამაშოები საოცრად ძვირია. და თუ ვინმეს შემორჩენილი გაქვთ ამ ძველი დროიდან „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“, და როცა სათამაშოებიც, წიგნებიც და სხვა სიკეთეც, რაც ბავშვებს ეკუთვნოდა საოცრად იაფი იყო, გირჩევთ გაუფრთხილდეთ.

დალი თორდინავა

ლეკთერ ჭოჭუა..



ამ ახალ წელს მე ჩემს მამულს განახლებულს ვხედავ, სიხარულმა ამამდერა ლექსის წერას ვბედავ არ მოვშლოდეთ ჯანი მკლავში და აკვნების რწვევა, დაგებდეთ სიყვარული და მომავლის რწმენა. წყალში თევზი კეკლუცობდეს და ტორტლა ცაში ფანდურზე კი შეჯიბრება შაირების თქმაში. მწვემსი მინდვრად მშვიდად იყოს და მეთევზე ზღვაში, მთაში ჯიხვი ნავარდობდეს და ხოხობი ბარში.

ბიბინებდეს მინდორ-ველი მწვანით შემოსილი, სუფრაზე კი უხვად იყოს, ჩურჩხელა და ჩირი. მაშ დაუკარ, გამაგონეთ მშობლიური ჰავი, ერთგულების ნიაკი ქრის, მოიშორეთ დარდი. მზის სხივები შემოღუშვით, ჩამოხსენით ფარად, ღმერთმა ნაღდად აგისრულოთ ახალი წლის ნატვრა. დიდ პატარას ყველას ვლოცავ, ყველას ვეაღერებო, მანდილოსნებს ვეფერები, ჩემი თბილი ლექსებით. მახსენდება ხშირი იყო, როცა სუფრას ველოდით, თითო ჭიქას გადავკრავდით, მერე ერთად ვმდეროდით, მოდით ახლაც მოვილხინოთ, აბა ტაში, ტაში-ტუში. დაუკარით სატრფიალო, გენაცვალეთ კაკალ გულში. მერე რა რომ ვბერდები, ბზარი გამიჩნდა ხმაში, მე მაინც ისე მიყვარხართ, როგორც მიყვარდით მაშინ

ალექსანდრე რუსია

გზით აჭარისკენ !
ოქროვ ლაღებო, შიგ ჩამხედვარის ვდაღადებ სისხლით!
აჭარის მთებო დათოვლილებო, ალაგ
მალაქიტს, ბამბუკთა შორის.
მონატრულ თვალებს - ზღვისებრ
მღელვარეს და გიშრის წამწამთ
მძიმედ დახრილებს - ცისპირად ქვებში...
დასველდებიან, ზღვაზე პირბანვით,
მზე და ბაჯადლო სხივი.
- შენ თუ გინახავს „ახალი წლისთვის“?!...
მე შენი სახე შემომხვდა
ამ გზად, გადაჩვეულმა აწმყოთი წარსულს ...
მოხეტიალე გაღერებებით და მოხატული
სკვერების ლანდად -
...და იცი რაა ?!
პირველ სიყვარულს, თქვენც აქ შეხვდებით,
ვიდრედა ცოცხლობს,
მათ ჩემად !..ვითგან ქართული სული !!!
პირველ შენს თვალებს... დიად თაფლისფერს
და მე თუ ზღვისპირს ღრუბლებთან მხიბლავს...

შენი თმის ფერი, ბებერი წაბლის,
ამ სიყმაწვილით, დამაკლავს ფიქრებს -
...იქ ღვთის ტაძარი...
ბულვართან მდგარი, თუ არწივების
ბუდე
-გალია ?!..აუშვით ყველა, შიგ
დაბორკილი,
თავისუფლება ეხლავე სწადიათ !!!
თეთრო ბათუმო, ამ გაზამთრებით ?!
ვიცი გადაღლა არ გიწვრია,
ფანტელმა ზეცა თუ მოგიქუფროს,
ფერად ქოლგებით ხო, გიხარია .
მითხარ ბათუმო ! - შენი მთებია და
შენი გზები, ასეთ სიღრმეებს რომ ჩასწვდებიან.
საქართველოა ძუძუამოზრდილს - ნაცნობ
სახლთან რომ ისევ საღამოს შინ დაგხვდებიან ...
ჭადის ანთებით, ნაძვისხის თრთოლვით, შუაგულ
სახლში, უცაბედად რომ თან გეფრქვევიან !
სარწმუნოება დიდი და წმინდა ...- მე იმ
ტაძრამდე, ჯერ ქრისტეს სისხლზე - არ გაცვლილია !!!



სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

ბრწყინვალე შედეგი აჩვენა ელენე მონონავამ თბილისის ჭადრაკის სასახლეში



საქართველოს ქალთა 79-ე ჩემპიონატის პირველ ლიგაზე. ელენემ მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა და 60 პუნქტით გაიუმჯობესა ფიდეს რეიტინგი. მან 9 შესაძლებლობიდან 6 ქულის აღება შეძლო და

უკან ჩამოიტოვა გამოცდილი საერთაშორისო დიდოსტატები და ოსტატები.

16 წლის ელენე წოწონავა 2022 წლის საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგაზე მონაწილეობის პირველი კანდიდატია და დიდი ალბათობით 2022 წელს ამ უმნიშვნელოვანეს ტურნირში ჩვენი კლუბი კვლავ 2 მოჭადრაკით წარსდგება (ელენე წოწონავა და დიანა ლომაია).

ვაჟთა შორის მოასპარეზე აკაკი ყალიჩავამ კი 40 პუნქტით გაიუმჯობესა ფიდეს რეიტინგი.

ვულოცავთ ამ უმნიშვნელოვანეს მიღწევას ელენეს და მის მწვრთნელს გონა ჩაჩუას!

აკაკი ყალიჩავას გამარჯვებით დასრულდა ეპროვის სასკოლო ონლაინ ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 17 წლამდე ჯგუფითა შორის

აკაკი ყალიჩავამ 7 შესაძლებლობიდან 5 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა საკმაოდ ძლიერ შემადგენლობაში და მოიპოვა ფინალური ეტაპის საგზური.

10-12 დეკემბერს ევროპის სასკოლო ონლაინ ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში აკაკისთან ერთად იასპარეზებენ დიანა ლომაია, ელენე წოწონავა და ნინო სოლომონია.



ბრწყინვალედ იასპარეზა ფოთელმა მოჭადრაკეებმა ვახტანგ ქარსელაის მეთაურობით - საქართველოს ონლაინ პირველობაზე მწვრთნელთა გუნდს შორის.

14 წლამდე მოჭადრაკეთა შორის ფოთის საჭადრაკო კლუბის გუნდმა "ნანა" მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა 12 შესაძლებლობიდან 10 ქულით. გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობდნენ: კახაბერ კიხირია, ლუკა წურწუშია, ალექსანდრე გარუჩავა, ანა სანიკიძე.

12 წლამდე მოჭადრაკეთა შორის ასევე მეორე საპრიზო ადგილს დაეუფლა ფოთის გუნდი "ბონიკა". გუნდი დაკომპლექტებული იყო შემდეგი მოჭადრაკეებით: ვაგა გვასალია, ლუკა წურწუშია, ალექსანდრე გარუჩავა და სალომე ლემონჯავა.

ასევე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ფოთის "ფაზისმა" 10 წლამდე მოჭადრაკეთა შორის. გუნდში ასპარეზობდნენ: ვაგა გვასალია, ალექსანდრე თარგამაძე, იაკობ რატიანი და სალომე ლემონჯავა.

სამივე გუნდის მწვრთნელია გონა ჩაჩუა.

10 წლამდე ასაკში საპრიზო ადგილთან ახლოს იყო და საბოლოოდ მე-4 ადგილს დასჯერდა ფოთის "კოლხეთი" (ვიორგი წულაია, გიორგი მუსხერიძე, თამაზ ხიზანიევილი, ელენე ჯობავა).

ვულოცავთ ჩვენს მოჭადრაკეებს წარმატებულ გამოსვლას ამ მნიშვნელოვან ტურნირში.



ამიკო ხარბელიას ხსოვნას

„ნუთუ საფლავისთვის გავჩნდით ამ ქვეყნად“



ბოლომდე ვერ განვლო ცხოვრების გზა, შუაგზაზე ჩაიშრება ავადმყოფობასთან ჭიდვით დაღლილმა. მიდის და მიყვება ფიქრი ცხოვრების ამოებებისა, მიყვება სიმწარე შვილთან, დედ-მამასთან, დებთან განშორებისა.

ბევრ ტკივილს გაუძლო და გაუტეხელი დარჩა, ყველას მოსიყვარულე და პატივისცემელი. ისე მოულოდნელად წავი-

და წუთისოფლიდან, მოფერება და დამშვიდობებაც ვერ მოვასწარი, იმედიც ვერ გავატანეთ საფლად ამოუცნობ გზაზე, რა მალე მთავრდება მიწიერი ცხოვრება, სიცოცხლე-სიყვარული და ბედნიერება ამ მართლა წუთისოფელში.

მისი თაობის ყველა თვისებაც ატარა, სამართლიანი, კეთილი, კაცთმოყვარე, უპრეტენზიო, საქმეში გამოცდილი და დაუღალავი. თავისი ქალაქისა და ქვეყნის პატრიოტი.

მწარედ განიცადა მისმა მეგობრებმა ეს დიდი დანაკლისი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდას კიდევ დიდხანს უნდა ეცოცხლა, დამტკბარიყო შვილისა და შვილიშვილების ბედნიერებით, მაგრამ ხსოვნაში გადაინაცვლა, უფალს ებარებოდეს ამიკო შენი ნათელი სული. ძალიან გვენანებო...
მეგობრები, ახლობლები

ინეზა კვარაცხელიას მოგონება

„ვღვავარ, ვწუხვარ და შენს აჩრდილს ვკოცნი, ვეხვევი, შენ არ მოდიხარ, მოგორავენ ღაწვზე ცრემლები“.



გარდაცვალება, ჩვენი მარინათვის, თავად პანდემიასთან მეტბოლს უმაღლვდნენ დის არყოფნას, ჩვენ მეგობრებს

რა დაუნდობელი ხარ სიკვდილო, რატომ უსპობ სიცოცხლეს, საყვარელ ადამიანს. გაუსაძლისი ტკივილი იყო დის

გული შეგვეტკიოდა ამ ამბის გამო. ყველაძე ახლობელი ხომ დედ-მამიშვილია, ღამაში ქნ-ი, რომელმაც თავისი პირადი ბედნიერება ახლობლების სიყვარულს შეაღია. დაუჯერებელია მარინათვის ეს გარემოება, შეგვუოს ტკივილს, თითქოს სამყარო გაჩერდა წამიერად.

უფალს ებარებოდეს ქალბატონი ინეზას დიდებული სული.

მარინას მეგობრები.

ღელისა და ბაბიის მონაწილეობა

ოლია ტაბაღუა - ბასილია

კარგი კაცის მეუღლეობა, დიდი ოჯახის დიასახლისობა, შვილების მოვლა და აღზრდა ეს იყო უმთავრესი მიზანი მისთვის. ეკში, მეგრულ ოჯახში გაზრდილი ფოთშიც კალი ბასილიას ოჯახშიც აგრძელებდა დიდებულ ტრადიციებს. საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ მეზობლები, ნათესავები, ჩვენ კი შვილებს განსაკუთრებით გვენატრება მისი ტკბილი ნანა, სითბო, სიყვარული და ნახელავი. სტუმართმოყვარე, სხვათა ჭირის მოხიარუ, ყველას იმედი და გვერდში მდგომი, სულ სხვა ხიბლი ქონდა ჩვენს ცხოვრებას მისი ყოფნისას, სხვა განწყობა იყო, სხვა ხალისი. ჩვენ ხლა ისე ბევრი ვართ, ვიცი ვაგახარებოდა და მერე როგორ ვაგახარებოდა. დიდ სურათზეც ვერ დავეტყობოდი. 110 წელი შეგისრულდებოდა ამ დღეებში. გილოცავთ! ისევე ჩვენთან ხარ და გვეფერები, ჩვენ კი სხვა რა დაგვრჩენია - ჭიქა ხსოვნის ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.
შვილები: გულნარა და ბადრი ბასილიანი; შვილიშვილები და შვილთაშვილები.



სამიძირისა და თანადგომის გამო გიხდით მადლობას

სიკვდილი ისე შემოგვეჩვია, ყოველდღე ვკარგავთ ახლობლებს, მეგობრებს. მწუხარებას ვეღარ ვუძლებთ. ასეთ დროს განსაკუთრებით დასაფასებელია თანადგომა. პანდემიისა და სუსხიანი დეკემბრის მიუხედავად ყველამ გაითავისა ჩემი ტრაგედია და ჩემი შვილი უკანასკნელ გზაზე გააცილა. მინდა მადლობა გადაგიხადოთ ტკივილის გაზიარებისათვის.
მეზარ ხარბელია

განცხადება:

იყიდება: ორსართულიანი

კავშირალური სახლი ქალაქის ცენტრში,

ბანაშენიანებული ეზოთი. მის:

იერუსალიმის №4; ტელ: 551 499 555

მსატვრული ხეღვა, ახალი დიზაინი



თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გააღამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.

თქვენს დაკვეთას შეასრულებს მსატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.

ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)